ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამარტივებული შესყიდვების შესახებ გამგებლისათვის მიცემული თანხმობის შსახებ მიღებული განკარგულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის ქონების მართვის და ინფრასტრუქტურის კომისიამ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიასთან ერთად მონიტორინგი გაუწია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული პროექტების შესწავლას, ხარისხის შემოწმება-კანონიერების ფარგლებში, რომელიც (გამარტივებული შესყიდვების წესით), ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შესრულდა. შემოწმდა დაბის N1 საბავშვო ბაღში N 2 საბავშვო ბაღში და სოფელ მოლითის საბავშვო ბაღში განხორციელებული სარემონტო სამუშაოები, რომელიც შესრულდა შ.პ.ს. „ტუკას“ მიერ, 2015 წლის აგვისტოს თვის ბოლოს. გამოყოფილი იყო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 64.725 ლარი, რომელშიც შედიოდა ხარჯთაღრიცხვის პროექტის შესყიდვაც.

კომისიის შემოწმების (შესწავლის) შედეგად N1 საბავშვო ბაღში შესრულებული სარემონტო სამუშაოები ჩატარებულია კარგი ხარისხით, ხარჯთაღრიცხვაში მითითებული სამუშაოები იდენტურია შესრულებული (გაწეული) სამუშაოების, უფრო მეტიც, სველ წერტილებში 7,3მ^2-ით მეტი კედლის კერამიკული ფილებია გაკრული, 8,2მ^2-ით იატაკის კერამიკული ფილებია დაგებული აგრეთვე შ.პ.ს. „ტუკას“ კეთლი ნებით, რომელიც საპროექტო სამუშაოებში არ იყო გათვალისწინებული კოსმეტიკური რემონტი გაუკეთეს ბავშვების სათამაშო (გასართობ) ოთახს, რომელიც 48კვ-მეტრია. ასევე გაარემონტეს, (ჭერი) (კედლები) 9კვ-მეტრის ადმინისტრაციული ოთახი. შესრულებული სამუშაოს ხარისხი კარგი.

N2 საბავშვო ბაღში შესრულებული სარემონტო სამუშაოები ემთხვევა შედგენილ სახარჯთაღრიცხო პროექტს. შესრულებული სამუშაოს ხარისხი საშუალო დამაკმაყოფილებელი).

რაც შეეხება სოფელ მოლითის საბავშვო ბაღს 4,3მ^2-ნაკლებ კედლის კერამიკული ფილებია გაკრული ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით, კომისიის შესწავლით ეს გამოიწვია პროექტში მითითებული კედლების ნგრევისა და ამოშენების კვადრატულობის ზუსტი რაოდენობის ცდომილებამ, რაც კომისიის აზრით დასაშვებია. შესასწორებელია გამსვლელი საკანალიზაციო მილის დახრილობა სამზარეულოში. სხვა შესრულებული სამუშაო იდენტურია ხარჯთაღრიცხვისა. ხარისხი დაბალი.

აღნიშნულმა კომისიამ შეამოწმეს 2015 წლის 2 თებერვლიდან 15 თებერვლამდე სოფელ ნადაბურში ციცქიური უბანში ი.მ. რ.კოპაძის მიერ შესრულებული, გზის ნაპირსამაგრი ე.წ. გაბიონის მოწყობის შესრულებული პროექტი, რომელმაც გამავალი გზა გააფართოვა 1,3მ-დან 1,5მ-მდე სიგრძით დაახლოებით 20მ-დან 25მ-მდე, რამაც ხელი შეუწყო ტრანსპორტის თვითნებურად გადაადგილებას ამ მონაკვეთზე. პროექტის ღირებულება

შესრულებით შეადგენდა 7016 ლარს. კომისიამ ადგილზე დაათვალიერა და შეისწავლა აღნიშნული პროექტი, რომელიც კარგად და საიმედოთ არის განხორციელებული.

2014 წლის 19 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება (გამარტივებული შესყიდვის) წესით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ი.მ. „შმაგი თაბუკაშვილი“. პროექტის ღირებულება 11361 ლარი პროექტი ითვალისწინებდა სოფელ ხიდარში სარიტუალო დარბაზის გადახურვას. სარიტუალო დარბაზი აშენდა, სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გამოყოფილი თანხით, ხოლო მის გადახურვაზე თანხა გამოიყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან. კომისიამ შეისწავლა შესრულებული სამუშაო, რომელიც საუკეთესოდ არის შესრულებული. რის შედეგაც სოფელი ხიდრის მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოხატავს.

კომისია აქტიურად განაგრძობს გამარტივებული შესყიდვების წესით (ერთ პირთან მოლაპარაკების, შესყიდვის) გზით შესრულებული (განხორციელებული) პროექტების, მონიტორინგს და შესწავლას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე შალვა ლურსმანაშვილი